ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4519266

ნომერი: AR1682995

თარიღი : 23.05.2019

გაცემის თარიღი : 28.05.2019

გაცნობის თარიღი : 28.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გროზნო , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ რურუა პ/ნ 01030020430
- თბილისი გროზნოს ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჭუმბურიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ''ჯი არ სი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202899300

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ჩვენი ეზო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402025296
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მერაბ რურუა

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030020430

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3979176
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.05.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან დგინდება, რომ მშენებლობა დარღვევითაა ნაწარმოები და არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტს.
შესაბამისად პირველ რიგში საჭიროა საკითხი დააყენოთ პროექტის კორექტირებაზე.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 63 - ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მშენებლობა დარღვევითაა ნაწარმოები პროექტის კორექტირების სტადიაზე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით საჭიროა წარადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციიდან დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევაზე და შესაბამისი სანქციის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR1682995 განაცხადი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.